

სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი



ბაკალავრის სწავლება

აკრილი №8

- * მონეტარული ფორმები
- * დაბავრის თარია და ვითარება
- * დაბავრის პრაქტიკა
- * ფინანსები, ადრინსვა და აუდიტი
- * მონეტარული საბადასხადო და საბადაო კანონმდებლობაში კონსტიტუციური
- * კონსვა-კანონები



2018

**უინანსური და
საპარამეტრიზო
კონსულტაციის ცენტრი**



გთავაზობთ:

გულგრილი და საგადასახადო
აღრიცხვა-ანგარიშების სქემების დამუშავებას
და გულგრილი და საგადასახადო აღრიცხვის
ანგარიშს ახლად შექმნილ და მოქმედ კომპანიებში

გულგრილი და საგადასახადო
აღრიცხვა-ანგარიშების წარმოებას ხელშეკრულებით

კომპანიის საქმიანობის უინანსურ ანალიზს და
უინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დამუშავებას

ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონსულტაციის
დამუშავებას





გამომცემელი: Sps 'ბიზნეს ინტელექტი-
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ელ. ჟურნალი
 „გადასახადები“

registrirebულია #04-06/65, 10.08.2009 / **Registered** #04-06/65, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical e.magazine „Gadasakhadebi“

მთავარი რედაქტორი:
 დავით ჯალაღონია,
 სრული პროფესორი
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

პასუხისმგებელი მდივანი
 მარინე ხუბუა, ასოცირებული პროფესორი
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

რედაქტორი: მადონა გელაშვილი
 ასოცირებული პროფესორი
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

ტექნიკური რედაქტორი:
 ნაზიკო გომელაური
Technical Editor: Naziko Gomelaury

კორექტორი: რუსიკო პაპასკირი
 ასოცირებული პროფესორი
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

მარკეტოლოგ-კონსულტანტი:
 დევი შონია, ასოცირებული პროფესორი
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professor

იურისტ-კონსულტანტი:
 ელგუჯა კავთარაძე, ასოცირებული პროფესორი
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

ელ. ჟურნალი „გადასახადები“
 რეგისტრირებულია
 ს.კ. 404941300
E. Magazine „GADASAKHADEBI“
(Taxes) is registered
ID code: 404941300

სარედაქციო კოლეგია
EDITORIAL BOARD

ტავმჯდომარე: პროფესორი დავით ჯალაღონია
Chairman: professor David Jalaghonia

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები,
 პროფესორები:
Doctors of Economics, Professors:

ზაურ ამილახვარი	Zaur Amilakhvari
რეზო გვესიანი	Rezo Gvelesiani
სიმონ გელაშვილი	Simon Gelashvili
ირმა დიხამინჯია	Irma Dikhaminjia
კახაბერ ერაძე	Kakhaber Eradze
შოთა ვეშაპიძე	Shota Veshapidze
ლარისა ტაკალანძე	Larisa Takalandze
ზურაბ ლიპარტია	Zurab Lipartia
იაკობ მესხია	Iakob Meskhia
ვლადიმერ რიონტი	Vladimer Rhlonti
ზაირა რუდუსაური	Zaira Gudushauri
თემურ სენგელია	Temur Shengelia
მიხეილ ცივილაძე	Mikheil Chikviladze
ნოდარ ხადური	Nodar Khaduri
ელენე ხარაბაძე	Elene Kharabadze
რეზო ხარებავა	Rezo Kharebava
ნანული ჯიმციშვილი	Nanuli Dzimceishvili

ანჯელიკა კრუტოვა - ხარკოვი, უკრაინა
 Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine

კერიმოვი ელ სევერ ნარიმან ოღლი -
 ბაყო, აზერბაიჯანი
 Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

მომხმარებელი: Sps 'ბიზნეს ინტელექტი-
 მიმხმარებლის IBAN ანგარიში # GE67TB332136020100005
 მიმხმარებლის ბანკი: სს „ტიბისი“ ბანკი
 ბანკის კოდი: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
 BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
 Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
 BANK KODE - TBCBGE22

T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

რედაქციის ავტორის მხრივ სესაზღვრულია მისი ავტორისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელი ავტორი.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

გამომცემელი: Sps 'ბიზნეს ინტელექტი- / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**



sarCevi / **Table of contents**

oficial uri dokumentebi / **Formal documents**

oficial uri dokumentebi - proeqti ----- 5-14

oficial uri dokumentebi ----- 15-54

instruqcia / **Instructions** -----55-56

auqci oni / **Auction** -----57-58



gadasaxadebi #8, 2018

GADASAKHADEBI #8, 2018



პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს ცვლილება და 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ა) მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანი საქართველოს მოქალაქეების“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი



განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო პოლიტიკა ვეტერანების მიმართ ითვალისწინებს სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური შეღავათების გარანტიების და მათი პრაქტიკული შესრულებისათვის ღონისძიებათა სისტემის შექმნას.

პროექტის შემუშავების მიზეზია მოქმედ კანონმდებლობაში საქართველოს ვეტერანებისათვის საკმარისი სოციალურ-ეკონომიკური შეღავათების (მათ შორის საგადასახადო) არარსებობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ვეტერანთა 70% დაუსაქმებელია, 30% სოციალურად დაუცველია, ხოლო საგადასახადო შეღავათი წარმოადგენს დასაქმებისათვის ხელის შეწყობ გარემოებას, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანი საქართველოს მოქალაქეებისათვის („ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები) საგადასახადო შეღავათის დაწესებას, რითაც მოხდება მათი უფლებრივი მდგომარეობის გათანაბრება შეღავათით მოსარგებლე სხვა კატეგორიის ვეტერანებთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია დასაქმებული (შემოსავლის მქონე) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებისათვის საშემოსავლო გადასახადზე შეღავათის დაწესება.

წარმოდგენილი პროექტის მიღებით ხელი შეეწყობა სახელმწიფოს მიერ ვეტერანთა ღვაწლის და დამსახურების აღიარებას და მათი ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნას. აღნიშნული ცვლილებებით უზრუნველყოფილი იქნება ვეტერანთა შორის დასაქმების წახალისება, რაც ხელს შეუწყობს სოციალურად დაუცველთა კატეგორიიდან ვეტერანთა სამუშაო ძალად ჩამოყალიბებას.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მეორე მსოფლიო ომის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანი საქართველოს მოქალაქეების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე.

წარმოდგენილი პროექტით ახლებურად ყალიბდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტის რედაქცია და საშემოსავლო გადასახადით ასევე არ დაიბეგრება სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანი საქართველოს მოქალაქეების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონის პროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების მონაწილე 3128 პირი.

სამსახურმა გააგზავნა შეკითხვა შემოსავლების სამსახურში დასაქმებულ (შემოსავლების მიმღებ) ვეტერანებზე ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით. შემოსავლების სამსახურის მიერ, დამსაქმებლის მიერ „საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული თანხებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ“ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად დასაქმებულია სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების 873 ვეტერანი.

შესაბამისად, პროექტის მიღება გამოიწვევს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირებას დაახლოებით 523 800 (ხუთას ოცდასამი ათას რვაასი) ლარის ოდენობით წელიწადში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს დამატებით გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.



ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიხედვით შეღავათი საშემოსავლო გადასახადზე უწესდებათ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებს, რაც დადებითად იმოქმედებს შესაბამის პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ განსაზღვრავს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში. ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ „საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის“, ა(ა)იპ „ომის ვეტერანთა უფლებების დაცვის ასოციაცია პატრიოტის“, ა(ა)იპ „საქართველოს სამხედრო ექიმთა ასოციაციის“ ა(ა)იპ „ძალოვან ვეტერანთა ეროვნული ლიგის“ და ვეტერანთა სფეროში მოღვაწე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.



დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ იმ მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის
ცვლილება

მუხლი 82. გადასახადისაგან გათავისუფლება

1. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

ა) არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები;

ბ) მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით, სახელმწიფო სტიპენდია, დახმარებებისა და ერთჯერადი გასაცემლების მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან ან/და ბიუჯეტის სარეზერვო ფონდებიდან მიღებული თანხები;

ბ¹) სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სარგებელი;

ბ²) მკურნალობის ან/და სამედიცინო მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად საქველმოქმედო ორგანიზაციიდან მიღებული სარგებელი;

გ) ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები;



დ) ალიმენტი;

ე) განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი);

ვ) ფიზიკური პირის მიერ:

ვ.ა) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ვ.ბ) საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ვ.გ) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების მიწოდებით მიღებული ნამეტი, გარდა გამსხვისებლის მიერ აქტივების მიწოდებამდე ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების ან/და ამ ქვეპუნქტის „ვ.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთანავე, აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებად არ ითვლება მათი 2 წლის შემდეგ მიწოდება ან/და ფასიანი ქაღალდების/წილის მხოლოდ ფლობა დივიდენდებისა და პროცენტების მიღების მიზნით;

ზ) საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

თ) საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება, გარდა დაქირავებულის მიერ დაქირავებულისაგან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებისა;

ი) საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

კ) ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა;

ლ) 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;

მ) პრივატიზების წესით (მათ შორის, უსასყიდლოდ) ქონების მიღების შედეგად, აგრეთვე მიწისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა მიერ დაზიანებული ბინების სანაცვლოდ იმავე დასახლებულ პუნქტში ან ეკომიგრანტების მიერ სხვა დასახლებულ პუნქტში ბინების უსასყიდლოდ მიღების შედეგად წარმოშობილი სარგებელი;



ნ) დროებითი საცხოვრებელი ადგილის სანაცვლოდ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის, იძულებით გადაადგილებული ფიზიკური პირის მიერ პრივატიზების პროგრამის ფარგლებში მიღებული კომპენსაციები; ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების ღირებულება და ამ ქონების თავდაპირველი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

ო) ფიზიკური პირის (I რიგის მემკვიდრის) მიერ ჯამურად მის და მამკვიდრებლის/მჩუქებლის საკუთრებაში 2 წელზე მეტი ვადით არსებული მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

პ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

ჟ) თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;

რ) არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე;

ს) არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;

ტ) სახელმწიფოს, საქართველოს ეროვნული ბანკის, აგრეთვე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის სასესხო ფასიანი ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სია განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

უ) სახელმწიფოს, საქართველოს ეროვნული ბანკის, აგრეთვე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის სასესხო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი და საქართველოს ეროვნულ ბანკში ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების სია განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

ფ) რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი (მათ შორის, სარგებელი), რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს;

ქ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრებული ან/და დაინვალიდებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურისათვის ან სამხედრო მოსამსახურისათვის, აგრეთვე დაღუპვის შემთხვევაში მათ ოჯახზე (მემკვიდრეზე) დამქირავებლის მიერ გაცემული დახმარება;

ღ) ლატარიიდან მიღებული მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს;



ე) ამხანაგობის მიერ თავისი წევრისთვის (თანამფლობელისთვის) ქონების გადაცემით მიღებული შემოსავალი, თუ ამხანაგობის წევრები მხოლოდ ფიზიკური პირები არიან, ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა არ შეცვლილა ამხანაგობის დაფუძნებიდან ქონების გადაცემის (განაწილების) მომენტამდე და ამხანაგობა განაწილების მომენტისათვის არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის ამხანაგობის წევრის გარდაცვალებისას ამხანაგობის წევრის წილის მემკვიდრეზე გადასვლა ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ამხანაგობის წევრის წილის რეალიზაცია არ განიხილება ამხანაგობის წევრთა შემადგენლობის ცვლილებად;

შ) არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, თუ დაქირავებით მუშაობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე საგადასახადო წლის განმავლობაში არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა და შემოსავლის (ხელფასის) გადამხდელი არის არარეზიდენტი დამქირავებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ხარჯი მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ხარჯებს, მიუხედავად იმისა, ეს ხარჯი ამ მუდმივი დაწესებულების მიერ არის გადახდილი თუ არა;

ჩ) საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების გზით ამ საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირზე წილის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით მიღებული ნამეტი, თუ საწარმოს წილზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების წარმოშობიდან გასულია 2 წელზე მეტი;

ც) 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ დამქირავებლის მიერ ამ საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;

ძ) აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, აგრეთვე ტოტალიზატორის მომწოდებელი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობიდან მიღებული შემოსავლისა;

წ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დადგენილი წესით რეგისტრირებული პირის (რომელიც იღებს საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დასახიჩრებული პირის, ასევე ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული პირის ოჯახის წევრის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციისგან უსასყიდლოდ მიღებული ქონების ღირებულება;

ჭ) ადმინისტრაციული ორგანოს (დამქირავებლის) მიერ თანამშრომლისთვის (დამქირავებულისთვის) უძრავი ქონების სასყიდლით ან უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემით მიღებული სარგებელი; (8.11.2011. N5202)



ჰ1) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თანამშრომლისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას პირად მფლობელობაში არსებული ავტომობილისათვის განკუთვნილი საწვავის უსასყიდლოდ გადაცემით მიღებული სარგებელი;

ბ) ამ კოდექსის 249-ე მუხლით გათვალისწინებული თავდებობის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თავდებობის, აგრეთვე სერვიტუტის უსასყიდლო მომსახურების გამწვევის მიერ ამ მომსახურებიდან მისაღები კომპენსაცია და უსასყიდლო მომსახურების მიმღების მიერ მიღებული სარგებელი;

ჯ) ტურისტული საწარმოს მიერ ან/და მის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სასტუმროს ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმრო ნომრის მესაკუთრისათვის კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 60 დღის ვადით სასტუმროს მომსახურების (სასტუმროში ცხოვრების) უსასყიდლოდ გაწვევის შედეგად სასტუმრო ნომრის მესაკუთრის მიერ მიღებული სარგებელი;

ჰ) „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ გაკოტრების რეჟიმში მყოფი პირის მიერ მიღებული შემოსავალი;

ჰ¹) ფიზიკური პირის მიერ გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში მყოფი პირისაგან დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავალი;

ჰ²) საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის შესაბამისად ჩამორთმეული საკუთრების სანაცვლო ანაზღაურება.

2. საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება:

ა) შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:

ა.ა) მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების;

ა.ბ) პირის, რომელსაც მინიჭებული აქვს „ქართველის დედის“ საპატიო წოდება;

ა.გ) მარტოხელა დედის;

ა.დ) პირის, რომელმაც იშვილა ბავშვი (შვილად აყვანიდან 1 წლის განმავლობაში);

ა.ე) პირის, რომელმაც მინდობით აღსაზრდელად აიყვანა ბავშვი;

ა.ვ) მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, ხოლო მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ერთ- ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით;



ბ) ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე.

3. თუ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს წარმოექმნება ერთზე მეტი საგადასახადო შეღავათის უფლება, მასზე გავრცელდება მათგან ერთი, უმაღლესი შეღავათი.

4. ამ მუხლის მიზნებისათვის:

ა) აქტივის საკუთრებაში ფლობის 2-წლიანი ვადა აითვლება:

ა.ა) მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღიდან; მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებრივად ერთ საგნად რეგისტრირებული აქტივის გაყოფის შემთხვევაში მიღებული აქტივის საკუთრებაში ფლობის 2-წლიანი ვადა აითვლება გაყოფამდე არსებული აქტივის საკუთრებაში ფლობის თარიღიდან;

ა.ბ) თუ არ ხდება საკუთრების უფლების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაცია, – საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტიდან;

ბ) აქტივის „რეალიზაციით მიღებული ნამეტი“ იანგარიშება, როგორც:

ბ.ა) სხვაობა აქტივის მიწოდების ფასსა და მასზე საკუთრების უფლების

ბ.ბ) სხვაობა აქტივის მიწოდების ფასსა და უსასყიდლოდ მიღების მომენტში მის საბაზრო ფასს შორის, თუ აქტივზე საკუთრების უფლება უსასყიდლოდ იყო მიღებული.

გ) ქონების ჩუქებისას ან/და ანდერძით მემკვიდრეობისას I, II, III და IV რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან შემდეგი პირები:

გ.ა) I რიგის მემკვიდრეებად – მეუღლე, შვილი, ნაშვილები, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი და მისი შვილი, მშობელი და მშვილებელი;

გ.ბ) II რიგის მემკვიდრეებად – და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები;

გ.გ) III რიგის მემკვიდრეებად – ბებია და პაპა, ბების დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან;

გ.დ) IV რიგის მემკვიდრეებად – ბიძა (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდა და მამიდა.

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო წლის მიხედვით გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების მიზნით დაქირავებული პირი ვალდებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით წარუდგინოს დამქირავებელს შეღავათით სარგებლობის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა. ერთზე მეტი სამუშაო ადგილის არსებობის შემთხვევაში გადახდის წყაროს, სადაც უნდა გავრცელდეს შეღავათი, განსაზღვრავს დაქირავებული პირი.

**საქართველოს მთავრობის****დადგენილება №180**

2018 წლის 16 აპრილი, ქ. თბილისი

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/02/2013, 470230000.10.003.017200) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. მე-4 მუხლის:

ა) „კ²“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ³“ და „კ⁴“ ქვეპუნქტები:

„კ³ ამ დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.დ“ და „ბ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირები, რომლებიც არ არიან აღრიცხულნი სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში სახელმწიფო გასაცემლების მიმღებად შშმ ბავშვის ან მკვეთრად გამოხატული შშმ პირის სტატუსით, შესაბამის პროგრამულ მომსახურებას მიიღებენ განცხადებითა და შშმ პირის შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის სააგენტოში წარდგენის მომდევნო მეორე თვის პირველი რიცხვიდან;

კ⁴ ამ დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.დ“ და „ბ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს, რომლებსაც შეუჩერდათ სახელმწიფო გასაცემელი, შესაბამისი პროგრამული მომსახურება უგრძელდებათ უწყვეტად, თუ გასაცემლის შეჩერება არ უკავშირდება ასეთი სტატუსის შეჩერებას, ცვლილებას/დაკარგვას, აგრეთვე, ასეთი პირის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნას;“;

ბ) 4² მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4³ მუხლი:

„**მუხლი 4³.** „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, ამ დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-2 მუხლით განსაზღვრული პირისთვის მიყენებული ზიანის „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ანაზღაურების შეთხვევაში, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ა(ა)იპ – სავალდებულო დაზღვევის ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, ა(ა)იპ – სავალდებულო დაზღვევის



ცენტრს ეკისრება განმახორციელებლის მიერ ანაზღაურებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვის ვალდებულება.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის („საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“):

ა) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) თვითმმართველ ქალაქებში – ქ. თბილისში, ქ. ბათუმსა და ქ. ქუთაისში სამეანო-ნეონატალური სერვისის მიმწოდებელია დაწესებულება:

ა.ა) რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ეთანხმება ვაუჩერის, ხელშეკრულებისა და დადგენილების პირობებს, ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დაადასტურებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს და „პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/5 ბრძანების შესაბამისად, მინიჭებული აქვს პერინატალური მოვლის სპეციალიზებული (II) დონე ან პერინატალური მოვლის სუბსპეციალიზებული (III) დონე ან ამავე ბრძანების დანართ №1-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით აწვდის II დონის სამეანო მოვლისა და III დონის ნეონატალური მოვლის სერვისებს;

ა.ბ) რომელთანაც ჯერ არ ყოფილა გაფორმებული ხელშეკრულება და რომლის მიერ მიმწოდებლად რეგისტრაციისთვის მიმართვის წინა 12 თვის განმავლობაში გატარებული მშობიარობისა და საკეისრო კვეთის საერთო რაოდენობა >500-ზე, ხოლო 2019 წელს – >750-ზე, აღნიშნული პირობა არ ვრცელდება იმ სუბიექტებზე, რომლებმაც კანონმდებლობის შესაბამისად ფუნქციონირება დაიწყეს საანგარიშგებო წელს ან საანგარიშგებო წლის წინა წელს ისე, რომ ფუნქციონირების დაწყებიდან არ შესრულებულა საანგარიშგებო წლის წინა სრული კალენდარული წელი;

ა.გ) რომლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-13 თვეს ჩატარებული წინა 12 თვის ანალიზის საფუძველზე გატარებული მშობიარობისა და საკეისრო კვეთის საერთო რაოდენობა >500-ზე, ხოლო 2019 წელს – >750-ზე;

ა.დ) ამ პუნქტის „ა.ბ“ და „ა.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობა არ ვრცელდება საუნივერსიტეტო სტაციონარებზე – სამედიცინო პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კუთვნილ, მრავალპროფილიან, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე, კვალიფიციური ექიმებითა და აკადემიური პერსონალით დაკომპლექტებულ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებზე, რომლებშიც სამეანო ნეონატალური მიმართულებით მიმდინარეობს დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება და სამეცნიერო კვლევა;“;

ბ) მე-11 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„5. სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით შეტყობინების საფუძველზე დაფიქსირებული სამედიცინო შემთხვევის დასრულებულად დაფიქსირება უნდა მოხდეს პაციენტის გაწერიდან არა უგვიანეს 24 საათის განმავლობაში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც საბოლოო დიაგნოზის დადგენისთვის საჭირო კვლევების ხანგრძლივობა აღემატება სტაციონარში დაყოვნების პერიოდს და ასევე ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“;

გ) მე-19 მუხლის:

გ.ა) 4¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4¹. სპეციალური ელექტრონული პროგრამის საშუალებით შეტყობინების საფუძველზე გადაცემული სამედიცინო შემთხვევის დასრულებულად დაფიქსირების შესახებ ამავე დადგენილების მე-11 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, პროგრამის განმახორციელებლის მიერ მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა 50 ლარის ოდენობით.“;

გ.ბ) 22-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„22. ამ პროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაწესებულებებში ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის ანალიზის საფუძველზე, რომელიც განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-13 თვეს, თუ მშობიარობათა საერთო რაოდენობაში საკეისრო კვეთების ხვედრითი წილი გადააჭარბებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამის მაჩვენებელს, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, პროგრამის ფარგლებში, საკეისრო კვეთების რაოდენობის (გარდა 23-ე მუხლის მე-18 პუნქტით განსაზღვრული მოსარგებლის მოთხოვნის საფუძველზე ჩატარებული საკეისრო კვეთისა) საკეისრო კვეთის ლიმიტსა (800 ლარი) და მშობიარობის ლიმიტს (500 ლარი) შორის სხვაობაზე ნამრავლით მიღებული ოდენობით, რომლის აღსრულება განხორციელდება ამ დანართის 19¹ მუხლის შესაბამისად.“;

დ) 23-ე მუხლის:

დ.ა) 4¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4¹. 2014 წლის 1 აპრილიდან პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებმა ამ დანართის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გეგმური ამბულატორიული მომსახურებისათვის ახალი მოსარგებლების რეგისტრაცია უნდა განახორციელონ სპეციალური სააღრიცხვო (მკაცრი აღრიცხვის) დოკუმენტით (მოსარგებლის თანხმობის ფორმა), რომლის ფორმასა და გამოყენების წესს ამტკიცებს სამინისტრო, ხოლო 2014 წლის 1 აპრილამდე დარეგისტრირებული მოსარგებლების მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტით ხელახალი რეგისტრაცია უნდა დასრულდეს 2018 წლის 1 ივნისამდე. ამასთან, მოსარგებლის თანხმობის ფორმის ბეჭდვას, ტირაჟირებას, აღრიცხვასა და სამედიცინო დაწესებულებებისათვის უსასყიდლოდ გადაცემას უზრუნველყოფს განმახორციელებელი.“;



დ.ბ) 32⁴ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„32⁴. ამავე მუხლის 38-ე, 41-ე, 45-ე და 47-ე პუნქტებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, მიმწოდებლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, აღნიშნულ დაწესებულებაში დამდგარი პროგრამული მომსახურება, რომელიც დასრულდა ან გრძელდება მიმწოდებლის სტატუსის შეჩერების შემდგომ პერიოდში, დასრულდეს პროგრამის ფარგლებში იმავე დაწესებულებაში, სადაც დაიწყო მომსახურება.“;

დ.გ) 37-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„37. თვითმმართველ ქალაქებში – ქ. თბილისში, ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში ამ დანართის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელს, რომელიც ფინანსდება ამავე დანართის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კაპიტაციური მეთოდით, ასეთი მომსახურების გაწევის ფაქტობრივი მისამართის მიხედვით, უფლება აქვს, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, მომსახურება გაწიოს დანართ №1.2-ის პირველი პუნქტის („გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება“) 1.5, 1.6, 1.9, 1.10 და 1.11 პუნქტებით განსაზღვრული მომსახურებისა და №1 დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მოსარგებლეებისათვის განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული მცირე პირურგიული ოპერაციებისა და მანიპულაციების შესაბამისად.“;

დ.დ) 38-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 38¹ პუნქტი:

„38¹. თუ თვითმმართველ ქალაქებში – ქ. თბილისში, ქ. ბათუმსა და ქ. ქუთაისში სამეანონეონატალური სერვისის მიმწოდებელი პირი ვეღარ აკმაყოფილებს დანართ №1-ის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობებს, განმახორციელებელი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-14 თვის პირველი რიცხვიდან შეუჩეროს მიმწოდებლის სტატუსი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, ამასთან პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „გ.ბ“, „დ.ა“ და „დ.დ“ ქვეპუნქტების მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, ხოლო ამავე პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი

**საქართველოს მთავრობის****დადგენილება №183**

2018 წლის 17 აპრილი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №604 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №604 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2017,040090000.10.003.020314) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული სუბიექტების გარდა:

ა) სხვა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, გარდა ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციებისა, უზრუნველყონ ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე საქართველოს მთავრობისათვის შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა;

ბ) სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციებმა, მუნიციპალიტეტებმა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა უზრუნველყონ ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებული CPV კოდების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დაწყებამდე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი



საქართველოს მთავრობის

დადგენილება №184

2018 წლის 17 აპრილი, ქ. თბილისი

„თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2014, 010320050.10.003.017758) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის („იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრი, რომელთათვისაც სავალდებულოა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“) მე-5 მუხლის „ც“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ც) სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი



**საქართველოს მთავრობის****დადგენილება №185**

2018 წლის 17 აპრილი, ქ. თბილისი

**„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11
თებერვლის №70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №70 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/02/2016, 010240030.10.003.019134) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. პირველი მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სამინისტროს ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2.“.

2. მე-4 მუხლის „ც“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ც) სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი;“.

3. მე-7 მუხლის „ც“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ც) სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი – სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მეთოდოლოგიის შემუშავება/განახლება და დანერგვა; სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და დაქვემდებარებული უწყებებისთვის მკაფიო და გაზომვადი რაოდენობრივი გეგმების არსებობის უზრუნველყოფა; სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების თანამშრომლების უნარ-ჩვევების გაძლიერება ხარისხობრივი და რაოდენობრივი გეგმების მოსამზადებლად; დაგეგმვის, გეგმების ოპონირებისა და გეგმების ხარისხის გაუმჯობესების პროცესების ორგანიზება; გეგმების აღსრულების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მეთოდოლოგიის შემუშავება/დანერგვა; გეგმების ყოველკვარტალური და ყოველწლიური მონიტორინგი, მონიტორინგის ანგარიშების მომზადება; სამინისტროსა და დაქვემდებარებული უწყებებისთვის ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა; სამინისტროსა და დაქვემდებარებულ უწყებებში საქმიანობისა და მომსახურების ხარისხის კონტროლის პროცესის მართვა; საქმისწარმოების ვადების კონტროლი, საჭირო მონაცემების დამუშავება და ანალიზი, მონიტორინგის ანგარიშების მომზადება (ადამიანური, ტექნოლოგიური, ოპერაციული და მონიტორინგის სისტემის არარსებობით გამოწვეული ხარვეზების იდენტიფიცირება); ხარისხის კონტროლის შედეგად გამოვლენილი ხარვეზებისა და შესაძლებლობების სისტემურ გადაწყვეტაზე ზრუნვა; სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების კრიტიკული და პრიორიტეტული ბიზნესპროცესების ოპტიმიზაციის უზრუნველყოფა; სამინისტროს დაქვემდებარებული



უწყებების პრიორიტეტული სერვისების განვითარების უზრუნველყოფა; მომსახურებაზე (სერვის +) ორიენტირებული კულტურისა და მიდგომის დანერგვა თანამშრომლებში“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №190

2018 წლის 19 აპრილი, ქ. თბილისი

„პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/04/2017, 010320000.10.003.019920) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. დანართ №2-ის ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



**„შესაბამისი თანამდებობის პირისათვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ
სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატი**

თანამდებობის დასახელება	სადღეღამისო ნორმაზე დანამატის ოდენობა პროცენტობით
საქართველოს მინისტრი და სახელმწიფო მინისტრი	80
საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი	80
საქართველოს მთავარი პროკურორი	80
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი	80
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი	80
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი	80
ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე	80
ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე	80
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი	80
საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი	80
საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი	80
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი	80
ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს თავმჯდომარე და წევრები	70
საქართველოს სახალხო დამცველი	80
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	70
საქართველოს მინისტრისა და სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს – სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსი	70
საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილე	70
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე	70
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი	70
სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი	70
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის მოადგილე	70
საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე	70
საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი	70



ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	70
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) და მოადგილეები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	70
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი	70
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე	70
ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე	70
საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი	70
საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი	70
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი	60
ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და მინისტრი	60
საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე	60
საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი	60
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროფესიული საჯარო მოხელის პირველი, მეორე და მესამე რანგის I კატეგორიის საჯარო მოხელეები	40
საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე	40
საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერი (ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი)	40
ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის პირველი და მეორე რანგის საჯარო მოხელეები	40
საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელი	40
საქართველოს საპრეზიდენტო დელეგაციის ხელმძღვანელი	40
საქართველოს სამთავრობო დელეგაციის წევრი და სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის მოსამზადებლად ქვეყნის გარეთ მივლინებული საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურე	30
საქართველოს საპრეზიდენტო დელეგაციის წევრი	30.“.

2. დანართ №2-ის შენიშვნის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს მინისტრსა და სახელმწიფო მინისტრს, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსსა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პრემიერ-მინისტრის მრჩეველს, თანაშემწეს, სპეციალურ წარმომადგენელს ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის დაქირავებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები, აგრეთვე, სამთავრობო და საპრეზიდენტო დელეგაციის ვიზიტის მოსამზადებლად ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას მოხელის მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები, ხოლო სამთავრობო და საპრეზიდენტო დელეგაციის წევრებს – მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის ხარჯები აუნაზღაურდებათ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების მიხედვით, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით შესაბამისი უწყებებისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მივლინების შემთხვევაში – საქართველოს ეროვნული ბანკის სახსრებით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი



**საქართველოს მთავრობის****დადგენილება №191**

2018 წლის 19 აპრილი, ქ. თბილისი

„თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2014, 010320050.10.003.017758) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის („იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრი, რომელთათვისაც სავალდებულოა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“):

1. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**„მუხლი 12****საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში:**

- ა) პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ბ) ნატოში ინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- გ) ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელი;
- დ) ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ე) ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ვ) ევროპის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ზ) ამერიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;



- თ) საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ი) საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- კ) საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ლ) პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- მ) დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ნ) საკონსულო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ო) ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- პ) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ჟ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- რ) მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ს) აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ტ) ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- უ) იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ფ) საერთაშორისო კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ქ) დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ღ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ყ) სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- შ) საიდუმლო საქმისწარმოების სამსახურის ხელმძღვანელი;
- ჩ) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;
- ც) მინისტრის სამდივნოს ხელმძღვანელი;



დ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე;

წ) სხვა სახელმწიფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობისა და საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებული საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ჭ) საქართველოს საკონსულო დაწესებულებების ხელმძღვანელი;

ხ) საქართველოს საგანგებო დავალებათა ელჩი.“.

2. მე-20 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი



საქართველოს ფინანსთა მინისტრის**ბრძანება №161**

2018 წლის 20 აპრილი, ქ. თბილისი

**„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართი №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბიუჯეტის განმკარგველის – 1424 – „ა(ა)იპ – მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრ „სვეტის“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

„

1425	5065	ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება“
1426	5066	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ვეფხვები

“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი**მამუკა ბახტაძე**



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/204

2018 წლის 26 აპრილი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 21.09.2010 წ., 040110030.22.024.016001) დამტკიცებულ დებულებაში შევიდეს ცვლილება და მე-4 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 მუხლი:

„მუხლი 5. სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის საპრივატიზებო პირობის შეცვლა/გაუქმება ან/და ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული/დასაკისრებელი გადაუხდელი პირგასამტეხლოს პატიება

1. იმ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, რომლებშიც მხარე არის ქონების სააგენტო ან/და სამინისტრო, ხელშეკრულების მხარე უფლებამოსილია პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის საპრივატიზებო პირობის შეცვლის/გაუქმების ან/და ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული/დასაკისრებელი გადაუხდელი პირგასამტეხლოს პატიების შესახებ დასაბუთებული თხოვნით მიმართოს ქონების მმართველს. ქონების მმართველი განიხილავს წარდგენილ მიმართვას და, საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობას გადაწყვეტილების მისაღებად, წარუდგენს წინადადებას სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო პირობის შეცვლის/გაუქმების ან/და ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული/დასაკისრებელი გადაუხდელი პირგასამტეხლოს პატიების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ქონების მმართველის მიმართვის საფუძველზე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ქონების შემძენს სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო პირობის შეცვლის/გაუქმების სანაცვლოდ შეიძლება მოეთხოვოს სათანადო ანაზღაურება, რომლის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. ეს ანაზღაურება მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, გარდა ქონების სააგენტოს ანაზღაურებისა, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ოდენობით ირიცხება ქონების სააგენტოს ანგარიშზე.



3. ამ მუხლის მიზნებისთვის, პირგასამტეხლოს პატიების მოთხოვნის ნაწილში, ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს პირი, რომელსაც, ქონების მმართველის მხრიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, დაეკისრა ან/და რომლის მიმართაც წარმოეშვა შესაბამისი პირგასამტეხლოს დაკისრების/მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, მისი მომართვის დღისთვის აღნიშნული ხელშეკრულება მოქმედია თუ შეწყვეტილი.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №59/04

2018 წლის 5 აპრილი, ქ. თბილისი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის თანდართული წესი.

მუხლი 2

ამ ბრძანების ამოქმედებამდე საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტის საფუძველზე დაწყებული ლიკვიდაციის პროცესები დასრულდეს ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე



მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესი (შემდგომში – წესი) გამოიყენება იმ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (შემდგომში – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) მიმართ, რომელსაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (შემდგომში – ეროვნული ბანკი) გაუუქმა რეგისტრაცია.

2. ლიკვიდაცია არის პროცესი, რომელიც იწყება ეროვნული ბანკის მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აქტის მიღებისთანავე და რომლის მიზანია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქტივების/ქონების რეალიზაცია და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. მის მიმდინარეობას აკონტროლებს ეროვნული ბანკი.

3. ეროვნული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის რეგისტრაციის გაუქმებისთანავე იწყება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესი.

4. რეგისტრაციის გაუქმებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.

5. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციას ახორციელებს ლიკვიდატორი, რომელიც ინიშნება და თავისუფლდება ეროვნული ბანკის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ასეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით. დაუშვებელია ლიკვიდატორი იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან დაკავშირებული პირი.

6. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმება, ლიკვიდაციის პროცესის დაწყება და ლიკვიდატორის დანიშვნა შეიძლება განხორციელდეს ერთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების, ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (აქტები) 10-დღიან ვადაში ქვეყნდება ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდსა (www.nbg.gov.ge) და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში (www.matsne.gov.ge).



8. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების, ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (აქტები) ეროვნული ბანკის მიერ წარედგინება სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შესაბამისი აღნიშვნისათვის და ადგილობრივი სისტემის ოპერატორს, თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია წარმოადგენდა ამ სისტემის მონაწილეს.

მუხლი 2. ლიკვიდაციის პროცესის თავისებურებები

1. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შემდეგ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდატორმა უნდა აწარმოოს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით და ამ წესით განსაზღვრული საქმიანობა.

2. ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ წყდება იძულებითი აღსრულება.

3. თუ ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია იყო აგენტი, ლიკვიდატორი ვალდებულია დანიშვნისთანავე უზრუნველყოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყებამდე სისტემის მიერ მიღებული ტრანსფერორდერების შესრულება, სისტემის მონაწილეთა ანგარიშსწორების პოზიციების დადგენა ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმებისა და ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ერთ-ერთ კომერციულ ბანკში გაიხსნება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სალიკვიდაციო ანგარიში (როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში) და მოხდება ყველა სხვა კომერციულ ბანკში არსებული თანხების აკუმულირება სალიკვიდაციო ანგარიშზე. გარდა ამისა, აღნიშნული ანგარიშის მეშვეობით მოხდება ანგარიშსწორება.

5. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების დღიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში წყდება პროცენტებისა და სარგებლის დარიცხვა მიღებულ კრედიტებსა და სხვა ვალდებულებებზე და ამ თარიღისათვის დარიცხული გაუცემელი პროცენტები გაერთიანდება ძირითად ვალთან.

6. რეგისტრაციის გაუქმებისთანავე დაიბლოკება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გახსნილი ყველა ანგარიში, ლიკვიდატორის შეტყობინების საფუძველზე.

7. მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ერთი კრედიტორი ფიზიკური/იურიდიული პირის სახელზე სხვადასხვა ხელშეკრულებით რიცხული მოთხოვნები ერთიანდება და გადაიტანება შესაბამისი ფიზიკური/იურიდიული პირის ძირითადი მოთხოვნის ანგარიშზე. კრედიტორი ფიზიკური/იურიდიული პირის ძირითადი მოთხოვნის ანგარიშზე რიცხული ჯამური თანხა არის ამ პირის მოთხოვნა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ.



8. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შემდეგ მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვა შეიძლება მხოლოდ ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად ვადადამდგარი მოთხოვნების მიმართ. თუ მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შედეგად კრედიტორის მოთხოვნა სრულად არ დაკმაყოფილებულა, დარჩენილ ნაწილში ის დაკმაყოფილდება ამ ბრძანებით დადგენილი საერთო წესით.

9. რეგისტრაციის გაუქმებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთანავე ლიკვიდატორი უფლებამოსილია, ფულადი საშუალებებისა და მატერიალური აქტივების დაცვის მიზნით, დალუქოს და აღრიცხოს ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დოკუმენტაცია, შენობა-ნაგებობები და სხვა ძირითად საშუალებები.

10. ლიკვიდაციის პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სალიკვიდაციო ანგარიშიდან, რომელიც პირველ რიგში დაკმაყოფილდება ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

11. ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ექვემდებარება „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებს.

12. რეგისტრაციის გაუქმების დღიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ეკრძალება ამ რეგისტრაციით განსაზღვრული ყოველგვარი საქმიანობა და ვალდებულია უმოკლეს ვადაში შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ვალდებულება.

13. თუ ლიკვიდაციის პროცესი დაიწყო ისეთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ, რომელსაც ფილიალები ან/და შვილობილი საწარმოები აქვს საზღვარგარეთ, ეროვნული ბანკი შეტყობინებას უგზავნის იმ ქვეყნის ზედამხედველ ორგანოებს, სადაც მდებარეობს ფილიალი ან/და შვილობილი საწარმო.

14. ლიკვიდატორის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ამ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ლიკვიდატორი ეროვნული ბანკის თანამშრომელია.

15. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შემდგომ შეძენილი ქონება შედის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქტივებში და ექვემდებარება რეალიზაციას ამ წესის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი წესით.

მუხლი 3. ლიკვიდატორის უფლებები

1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლისთანავე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოებს უწყდებათ უფლებამოსილება. ლიკვიდატორს ეკისრება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ყველა ორგანოს ყველა უფლებამოსილება. ლიკვიდაციის პროცესში მყოფ ბანკს მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ლიკვიდატორი.



2. ლიკვიდატორი უფლებამოსილია წარმართოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საქმეები, დაამთავროს სასამართლო და საარბიტრაჟო საქმეები ან მორიგებით დაასრულოს დავები, საჭიროების შემთხვევაში კი ჩაებას ახალ გარიგებებში. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის შემდგომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ დადებული გარიგებები ბათილია.

3. ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით ლიკვიდატორი უფლებამოსილია შექმნას სალიკვიდაციო კომისია.

4. ლიკვიდატორს დანიშვნის დღიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე შეუძლია შეწყვიტოს:

ა) გარიგება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის თანამშრომელთა დაქირავების შესახებ;

ბ) ხელშეკრულებები, რომელთა განხორციელებაშიც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მონაწილეობდა;

გ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ნებისმიერი ვალდებულება, როგორც უძრავი ქონების მოიჯარისა, თუ მეიჯარეს (რომელიც 3 თვით ადრე იყო გაფრთხილებული იმის თაობაზე, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია აპირებს გამოიყენოს საიჯარო შეთანხმების გაუქმების უფლება) არა აქვს მოთხოვნა საიჯარო გადასახდელზე, გარდა იმ თანხისა, რომელიც დაირიცხა შეთანხმების გაუქმების თარიღისათვის და არ მოითხოვს მისი გაუქმების შედეგად წარმოქმნილი ზარალის ანაზღაურებას.

5. ლიკვიდატორი უფლებამოსილია სასამართლოში სარჩელის შეტანით სადავო გახადოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ადმინისტრატორის მიერ ლიკვიდატორის დანიშვნამდე ერთი წლით ადრე განხორციელებული ისეთი ქმედება ან გარიგება და მოითხოვოს მათი ბათილად ცნობა, რომელთა შედეგად მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან დაკავშირებულმა პირებმა ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხარჯზე მიიღეს ქონებრივი სარგებელი ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, რამაც გამოიწვია მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის ან/და მისი კრედიტორებისათვის ზიანის მიყენება.

6. ლიკვიდატორს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დროულად და სწორად წარმართვის მიზნით, უფლება აქვს:

ა) ეროვნული ბანკის თანხმობით ლიკვიდაციის პროცესში გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები სხვადასხვა პირთან, ასევე შესაბამის სამსახურებთან მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დოკუმენტაციის დადგენილი წესით აღრიცხვის/შენახვის და დაარქივების უზრუნველსაყოფად;



ბ) გაატაროს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ის ღონისძიება, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კრედიტორთა და სხვა ფინანსური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

7. მხოლოდ ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, ლიკვიდატორს უფლება აქვს:

ა) დროებით არ დახუროს კომერციულ ბანკებში არსებული მიმდინარე ანგარიშები;

ბ) მიიღოს სესხი კომერციული ბანკისგან;

გ) აქტივებზე მოთხოვნის უფლება გადასცეს კრედიტორებს რიგითობის მიხედვით, სესხებზე ან სხვა საფინანსო აქტივებზე მოთხოვნის უფლება გადასცეს საფინანსო სექტორის წარმომადგენელს და ორგანიზება გაუწიოს აღნიშნულ ვალდებულებათა გადაცემას.

8. ლიკვიდატორი უფლებამოსილია საჯარო აუქციონზე (ელექტრონული აუქციონზე) გაყიდოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქტივები, ან ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით აირჩიოს მათი რეალიზაციის სხვა ფორმა. ამისათვის მან ეროვნულ ბანკს უნდა დაუსაბუთოს ის გათვლები და ვარაუდები, რომლებსაც დაეყრდნობა რეალიზაციის ფორმის შერჩევისას, კერძოდ, ამონაგები თანხის ოდენობის, რეალიზაციის ვადების, საპროცენტო განაკვეთების, ინფლაციის, აქტივების ფლობასთან დაკავშირებული და სხვა ხარჯების შესახებ.

9. თუ ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემისას ლიკვიდატორის მიერ დადგენილ ვადაში შესაბამისი კრედიტორი ან/და მოვალე არ განაცხადებს თანხმობას ან უარს აქტივის ან ვალდებულების სხვა პირისათვის გადაცემაზე, თანხმობა ავტომატურად გაცემულად ჩაითვლება.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული გადაცემისას, შესაბამისი მიმღები დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს გადაცემული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის აღრიცხვა და შენახვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ლიკვიდატორის ვალდებულებები

1. ლიკვიდატორი მის მიერ განხორციელებული საქმიანობისათვის ანგარიშვალდებულია ეროვნული ბანკის წინაშე.

2. ლიკვიდატორმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესი უნდა აწარმოოს კეთილსინდისიერად. მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში ლიკვიდატორი პასუხს აგებს კანონმდებლობის შესაბამისად.



3. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ყოფილი ადმინისტრატორები ვალდებული არიან, გადააბარონ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმეები ლიკვიდატორს ეროვნული ბანკის მიერ მითითებულ ვადებში, ხოლო ლიკვიდატორმა, თავის მხრივ, მისი დანიშვნის დღიდან უნდა აღწეროს და გადაიბაროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმეები ეროვნული ბანკის მიერ მითითებულ ვადებში.

4. იმ შემთხვევაში, თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ყოფილი ადმინისტრატორები თავს აარიდებენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმეების ლიკვიდატორისთვის გადმობარებას, ლიკვიდატორმა უნდა აღწეროს და შეადგინოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმეთა ინვენტარიზაციის აქტი, რომელსაც ადასტურებს მის მიერ შექმნილი სალიკვიდაციო კომისია. ამავდროულად, ლიკვიდატორმა უნდა მიიღოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ზომები აღნიშნულ ადმინისტრატორთა პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად.

5. ლიკვიდატორი ვალდებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებიდან **10** კალენდარულ დღეში:

ა) შეადგინოს ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწყისი ბალანსი არსებული ყოველდღიური საბუღალტრო ანგარიშგების ფორმების ან სხვა შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე და წარუდგინოს ეროვნულ ბანკს;

ბ) დაუგზავნოს შეტყობინებები კომერციულ ბანკებს, საკრედიტო ბარათებისა და ფულადი გზავნილების ანგარიშსწორებათა მომსახურე ორგანიზაციებს, რათა ლიკვიდატორის ნებართვის გარეშე არ მოხდეს ანგარიშებიდან ოპერაციების წარმოება და მოითხოვოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ემიტირებული ბარათების გაუქმება;

გ) წერილობითი ფორმით გაუგზავნოს შეტყობინება სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა ლიკვიდატორის გარეშე არ მოხდეს ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კუთვნილი ქონების (უძრავი ქონება, ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სხვ.) გასხვისება;

დ) დაუგზავნოს შეტყობინებები მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ყველა ყოფილ ადმინისტრატორს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და მისი სტრუქტურული ერთეულების ყველა ბეჭდისა და შტამპის **10** კალენდარული დღის განმავლობაში ჩაბარების მოთხოვნით. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

6. ლიკვიდატორმა, მის მიერ შექმნილ სალიკვიდაციო კომისიასთან ერთად, უნდა გაანადგუროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და მისი სტრუქტურული ერთეულების ყველა ბეჭედი და შტამპი და ამავდროულად უზრუნველყოს ლიკვიდატორის ბეჭდისა და შტამპის დამზადება. ლიკვიდატორი ვალდებულია შესაბამისი განადგურების აქტი წარადგინოს ეროვნულ ბანკში. განადგურების აქტი ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ განადგურების პროცესის მონაწილე პირები.



7. მოთხოვნის შემთხვევაში, ლიკვიდატორმა კომერციულ ბანკებს წარუდგინოს ხელმოწერისა და ბეჭდის ნიმუშები.

8. ლიკვიდატორმა ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწყისი ბალანსის შედგენიდან ერთ თვეში:

ა) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ კრედიტორებს წერილობით უნდა გაუგზავნოს შეტყობინება, ხოლო ისეთ კრედიტორებს, რომელთა იურიდიული მისამართიც უცნობია, საკანონმდებლო მაცნეში და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განცხადების გამოქვეყნებით, რომლებშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ მათ, დადგენილ ვადებში, ლიკვიდატორს უნდა წარუდგინონ თავიანთი მოთხოვნის ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ანალოგიური შინაარსის განცხადება, საჭიროების შემთხვევაში, განმეორებით უნდა გამოქვეყნდეს ერთი თვის ინტერვალით;

ბ) მოვალეებს გაუგზავნოს შეტყობინება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წინაშე არსებული დავალიანების (ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი) თაობაზე. მოითხოვოს მათგან 1 თვის ვადაში წერილობითი დასტურის წარმოდგენა, მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სრულად დაფარვის თაობაზე.

9. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დროულად და სწორად წარმართვის მიზნით, ლიკვიდატორი ვალდებულია:

ა) აწარმოოს ზუსტი აღრიცხვა-ანგარიშგება სწორი საბუღალტრო ჩანაწერების განხორციელებით;

ბ) დანიშნვიდან სამი თვის განმავლობაში განახორციელოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ყველა აქტივისა და ვალდებულების ინვენტარიზაცია და აღრიცხვა, საჭიროების შემთხვევაში – მათი აუდიტორული შეფასება;

გ) ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, შეადგინოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქტივ-პასივების დაზუსტებული ნუსხა (ბალანსი) და წარუდგინოს ეროვნულ ბანკს;

დ) უზრუნველყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ კრედიტორთა მიერ წაყენებული ყველა მოთხოვნისა და მოვალეთა მიერ დავალიანების თაობაზე მიწოდებული ინფორმაციის კანონიერების შემოწმება;



ე) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქტივების მაქსიმალურად ამოღების მიზნით, ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, მიადწიოს იმ მოვალეების დავალიანებების რესტრუქტურირებას, რომელთაც არა აქვთ საკმარისი ფულადი სახსრები და მატერიალური საშუალებები დავალიანების სრულად და ლიკვიდატორის მიერ მოთხოვნილ ვადაში დასაფარავად;

ვ) მოვალეების მხრიდან დავალიანების წერილობითი დასტურით ან რესტრუქტურირებით გათვალისწინებულ ვადებში დაუფარაობის შემთხვევაში განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება სასამართლოში სარჩელის შეტანის ჩათვლით;

ზ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ქონების გაფლანაგვის ან/და მითვისების ფაქტების ან სხვა დანაშაულის ნიშნების გამოვლენისთანავე აცნობოს ეროვნულ ბანკს და სამართალდამცავ ორგანოებს შესაბამისი ზომების მიღების მიზნით;

თ) გაასაჩივროს ნებისმიერი ისეთი გადაწყვეტილება ან აქტი, მათ შორის, სასამართლოს გადაწყვეტილება ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ქონების დაყადაღების ან რეალიზაციის შესახებ, რომელიც შეიძლება არახელსაყრელი იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კრედიტორთა ფინანსური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის;

ი) წარუდგინოს ეროვნულ ბანკს ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ანგარიშგება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადებში;

კ) დადგენილი პერიოდულობით ან მოთხოვნისთანავე ეროვნულ ბანკს წარუდგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში, ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი;

ლ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადახდისუუნარობის ან გაკოტრების ფაქტის გამოვლენისთანავე მოამზადოს გადახდისუუნარობის ან გაკოტრების დამადასტურებელი დასკვნა და აღნიშნული წარუდგინოს ეროვნულ ბანკს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, რის შემდეგაც ლიკვიდატორი მოქმედებს მხოლოდ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე და მის შესაბამისად;

მ) განახორციელოს ამ წესით განსაზღვრული ყველა ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს კრედიტორთა კუთვნილი ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მაქსიმალურად და დროულად დაკმაყოფილებას;

ნ) უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს სამართლიანობის პრინციპისა და ეთიკის ნორმების დაცვით;



ო) ყოველ 6 თვეში უზრუნველყოს კრედიტორთა ინფორმირება ლიკვიდაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების გზით.

10. ლიკვიდაციის პროცესში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდატორის გათავისუფლების შემთხვევაში, იგი ვალდებულია ახალ ლიკვიდატორს ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული აქტის საფუძველზე, გადააბაროს ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმეები და ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია და დაკავშირებული დოკუმენტაცია.

მუხლი 5. კრედიტორების დაკმაყოფილება

1. ლიკვიდატორმა, ლიკვიდაციის დროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ მოთხოვნები, რომელთა საფუძველია ფინანსური გირაო, უნდა დააკმაყოფილოს შესაბამისი შეთანხმების პირობების დაცვით (ფინანსური გირაოს ღირებულების ფარგლებში), ხოლო ყველა სხვა კანონიერი მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი თანამიმდევრობით:

ა) კრედიტორები, რომელთა მიმართაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციას წარმოეშვა ვალდებულება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობის რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ;

ბ) კრედიტორ ფიზიკურ პირთა მოთხოვნები;

გ) კრედიტორ იურიდიულ პირთა მოთხოვნები;

დ) საბიუჯეტო დავალიანებები, მათ შორის, საგადასახადო გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;

ე) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ დანარჩენი სხვა მოთხოვნები, გარდა ამ პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით არსებული მოთხოვნებისა;

ვ) სუბორდინირებული ვალდებულებები დაფარვის თარიღების თანამიმდევრობის მიხედვით;

ზ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სხვა ვალდებულებები მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების მიმართ.

2. თუ არსებული თანხა საკმარისი არ არის ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოთხოვნების სრულად დასაფარავად, ყველა შესაბამისი მოთხოვნა უნდა დაიფაროს ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.

3. ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ. ლიკვიდატორი უფლებამოსილია დაიწყოს მომდევნო რიგის მოთხოვნის დაკმაყოფილება, თუ წინა რიგის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად არსებობს საკმარისი ფულადი სახსრები და ამით წინა რიგის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას ზიანი არ ადგება.



4. ამ მუხლის პირველი პუნქტის თითოეულ ქვეპუნქტში აღნიშნული მოთხოვნების დაფარვის უზრუნველსაყოფად, ლიკვიდატორს უფლება აქვს მოახდინოს აქტივების რეალიზაციის შედეგად ნაწილ-ნაწილ შემოსული თანხების აკუმულირება.

5. პირობითი ვალდებულებები, რომელიც არსებობდა ლიკვიდაციის დაწყებამდე და რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშვა ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შემდეგ, წარმოშობილად ითვლება ლიკვიდაციის პროცესის დაწყებამდე. სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული მოთხოვნა წარმოშობილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც წარმოიშვა კრედიტორის მოთხოვნა დავის საგანზე, რაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს კლიენტი.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელთა ოდენობა აღემატება **1500** ლარს, ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8. მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე ლიკვიდატორი ვალდებულია გადაამოწმოს პირი შეყვანილი ხომ არ არის ტერორისტ ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიაში.

9. ლიკვიდატორი ვალდებულია მოთხოვნების დაკმაყოფილება უზრუნველყოს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას ლიკვიდაციის პროცესის მიმდინარეობას.

მუხლი 6. სალიკვიდაციო მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქტივების საჯარო აუქციონის (ელექტრონული აუქციონის) ფორმით ჩატარების პროცედურა

1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კუთვნილი ფიქსირებული აქტივების საჯარო აუქციონზე (ელექტრონულ აუქციონზე) გატანა www.eauction.ge-ის საშუალებით წარიმართება შემდეგი პროცედურების დაცვით:

ა) საჯარო აუქციონის (ელექტრონული აუქციონის) ჩატარების დროს ადგენს ლიკვიდატორი, რომელიც ასევე განსაზღვრავს გასაყიდი ქონების/აქტივის ფასს, ბეს ოდენობასა და საჯარო აუქციონის (ელექტრონული აუქციონის) ბიჯებს. ლიკვიდატორი www.eauction.ge ვებგვერდზე განათავსებს სარეალიზაციო ქონების/აქტივების მოკლე აღწერას. საჯარო აუქციონი (ელექტრონული აუქციონი) მიმდინარეობს **10** კალენდარული დღის განმავლობაში;

ბ) ლიკვიდატორი განცხადების პროექტს საჯარო აუქციონის (ელექტრონული აუქციონის) ჩატარების შესახებ, შესათანხმებლად, საჯარო აუქციონის (ელექტრონული აუქციონის) ჩატარებამდე სულ ცოტა **14** კალენდარული დღით ადრე წარუდგენს ეროვნულ ბანკს;



გ) საჯარო აუქციონზე (ელექტრონულ აუქციონზე) შეძენილი ქონების/აქტივის საფასურის გადახდის შემდეგ უფლებამოსილ პირთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება;

დ) საჯარო აუქციონზე (ელექტრონულ აუქციონზე) გამარჯვებულს ქონების/აქტივის მიმართ შეუძლია გამოიყენოს თავისი კანონიერი უფლებები მხოლოდ ფასის სრულად გადახდის შემდეგ. მყიდველს ბე ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას;

ე) საჯარო აუქციონზე (ელექტრონულ აუქციონზე) გაყიდული ქონების/აქტივის ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტში არსებულ ქონებასთან/აქტივთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე;

ვ) თუ პირველი საჯარო აუქციონის (ელექტრონული აუქციონის) დროს არ მოხდება საწყის ფასში ქონების/აქტივის რეალიზაცია, მაშინ ლიკვიდატორი ნიშნავს განმეორებით საჯარო აუქციონს (ელექტრონულ აუქციონს) პირველი საჯარო აუქციონის (ელექტრონული აუქციონის) დანიშნისათვის გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. განმეორებით საჯარო აუქციონზე (ელექტრონულ აუქციონზე) ქონების/აქტივის სარეალიზაციო საწყისი ფასი, შესაძლებელია განისაზღვროს პირველ საჯარო აუქციონზე (ელექტრონულ აუქციონზე) საწყისი ფასის არანაკლებ 75%-ის ფარგლებში;

ზ) იმ შემთხვევაში, თუ განმეორებით საჯარო აუქციონზე (ელექტრონულ აუქციონზე) ვერ მოხერხდა ქონების/აქტივის რეალიზაცია საწყისი ფასის არანაკლებ 75%-ის ფარგლებში, შემდეგ საჯარო აუქციონზე (ელექტრონულ აუქციონზე) სარეალიზაციო ქონების/აქტივის საწყისი ფასი, შესაძლებელია განისაზღვროს პირველი საჯარო აუქციონის (ელექტრონული აუქციონის) საწყისი ფასის არანაკლებ 50%-ის ფარგლებში.

2. საჯარო აუქციონზე (ელექტრონულ აუქციონზე) გასაყიდი ქონება/აქტივი შეფასებული უნდა იყოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

3. ლიკვიდატორის მიერ ფინანსურ აქტივებზე ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მოთხოვნის უფლებების რეალიზაციის მიზნით საჯარო აუქციონი (ელექტრონული აუქციონი) ტარდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების გარდა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კრედიტორთა ინტერესების გათვალისწინებით, ლიკვიდატორს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით შეუძლია მოთხოვნის უფლებების რეალიზაციის მიზნით საჯარო აუქციონი (ელექტრონული აუქციონი) ჩაატაროს დამატებით.

5. ლიკვიდატორი უფლებამოსილია ის მოთხოვნის უფლებები, რომელთა რეალიზაციაც არ განხორციელდა არცერთი საჯარო აუქციონის (ელექტრონული აუქციონის) დროს და დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შეფასებულია ნულოვანი ღირებულების მქონედ, ბუღალტრული სტანდარტებით შესაბამისი გატარებების მეშვეობით ჩამოწეროს საბალანსო უწყისიდან.

**მუხლი 7. ლიკვიდაციის პროცესის დასრულება**

1. ლიკვიდაციის პროცესის ხანგრძლივობა განისაზღვრება ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვალდებულებების გასტუმრების ხანგრძლივობით, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქტივების რეალიზაციასა და სასამართლო საქმეების დასრულების ვადებზე.

2. ლიკვიდაციის პროცესი დასრულდებულად ითვლება, თუ სრულადაა დაფარული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ არსებული ყველა მოთხოვნა.

3. ლიკვიდაციის პროცესი წყდება, თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ერიცხება დაუფარავი ვალდებულებები, მაგრამ აღარ აქვს აქტივები ასეთი ვალდებულებების დასაფარავად. აღნიშნულ შემთხვევაში ლიკვიდატორი მოქმედებს ამავე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად.

4. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქტივები აღარ აქვს, თუ:

ა) რეალიზებულია (ამოღებულია) ყველა აქტივი;

ბ) არარეალიზებული აქტივების საბაზრო (სარეალიზაციო) ღირებულება ნულის ტოლია;

გ) სესხებისა და სხვა აქტივების ამოღება შეუძლებელია იმის გამო, რომ მათი მფლობელები გაკოტრებულნი არიან ან არ გააჩნიათ რეალიზებადი ქონება.

5. ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ლიკვიდატორი ადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სალიკვიდაციო აქტს, რომელიც უნდა მოიცავდეს:

ა) ინფორმაციას ლიკვიდატორის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის დაწყების შემდეგ რეალიზებული ყველა აქტივის შესახებ მათი რეალიზაციის საბოლოო ფასის ჩვენებით;

ბ) დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ყველა არარეალიზებული აქტივის შეფასებას, რომლის საფუძველზეც დასტურდება, რომ ამ აქტივის საბაზრო (სარეალიზაციო) ღირებულება ნულის ტოლია;

გ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ დავალიანების მქონე იურიდიული თუ ფიზიკური პირის გაკოტრების დამადასტურებელ სასამართლო გადაწყვეტილებებს;

დ) ინფორმაციას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კრედიტორთა მოთხოვნების დაფარვის შესახებ;

ე) ინფორმაციას ლიკვიდატორის მიერ განხორციელებული ყველა სხვა ღონისძიების შესახებ.

6. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდატორი მისი ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სალიკვიდაციო აქტს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარუდგენს ეროვნულ ბანკს.



7. ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ. აღნიშნული აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.

8. იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის ან/და გაკოტრების ნიშნები, ლიკვიდატორი ადგენს სალიკვიდაციო აქტს, რომელსაც წარუდგენს ეროვნულ ბანკს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით, რის შემდგომაც ლიკვიდატორი მოქმედებს მხოლოდ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე და მის შესაბამისად.

9. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ეროვნული ბანკის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარედგინება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის რეგისტრაციისა და მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამოღების მიზნით.

10. იმ შემთხვევებში, თუ ლიკვიდაციის დასრულებისას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას სრულად აქვს დაფარული ვალდებულებები და დარჩა აქტივები, ლიკვიდატორი ამ აქტივებს გადასცემს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქციონერებს/პარტნიორებს მათთან შეთანხმებით და სათანადოდ გაფორმებული გადაცემის აქტით.

11. გამონაკლის შემთხვევებში, ეროვნული ბანკის თანხმობით შეიძლება ლიკვიდაციის პროცესში მყოფმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შეიცვალოს საქმიანობის საგანი და გარდაიქმნას ისეთ მეწარმე-სუბიექტად, რომელიც არ ახორციელებს მიკროსაფინანსო საქმიანობას. ამასთან, საქმიანობის საგნის შეცვლა უნდა ემსახურებოდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დანარჩენი ვალდებულებების გასტუმრებას, რისთვისაც საჭიროა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქციონერთა/პარტნიორთა გადაწყვეტილება და აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ყველა დარჩენილი კრედიტორის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა.

12. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საქმიანობის საგნის შეცვლის შემთხვევაში წყდება ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესი და იგი აღარ ექვემდებარება „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

მუხლი 8. ეროვნული ბანკის უფლებები

1. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს:

ა) ნებისმიერ დროს შეამოწმოს ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია;



ბ) შეამოწმოს ლიკვიდატორის საქმიანობა;

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაათავისუფლოს ლიკვიდატორი და მის ნაცვლად დანიშნოს სხვა პირი;

დ) მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის მსვლელობის შესახებ;

ე) მოითხოვოს ლიკვიდატორის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიების შეჩერება ან გაუქმება, თუ იგი ეწინააღმდეგება ლიკვიდაციის მიზნებს.

2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოვლენილი დარღვევების გამო, ლიკვიდატორის მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები, მათ შორის, ჩადენილი დარღვევის სერიოზულობის გათვალისწინებით, საქმე გადასცეს სამართალდამცავ ორგანოებს.

მუხლი 9. ლიკვიდატორის პასუხისმგებლობა

1. ლიკვიდატორი პასუხისმგებელია:

ა) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესის მოთხოვნათა დარღვევით წარმართვაზე, ასევე სალიკვიდაციო სამუშაოებისა და ღონისძიებების შეგნებულად გაჭიანურებისათვის;

ბ) თავისი საქმიანობის პერიოდში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქტივების გაფლანგვის ან/და მითვისების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ყოფილი ადმინისტრატორების ან თავად ლიკვიდატორის მხრიდან ასეთი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, საქმეების შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაუცემლობისათვის;

გ) მიღებული სესხის არამიზნობრივად გამოყენებისათვის;

დ) ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აღრიცხვა-ანგარიშგებებში საბუღალტრო ჩანაწერებისა და გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის უტყუარობისა და სიზუსტისათვის;

ე) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ არასწორი ინფორმაციის მომზადებისა და წარდგენისათვის;

ვ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მსესხებლებისა და სხვა დებიტორების მიერ დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში, თანხის ამოღების მიზნით სასამართლოში სარჩელის შეუტანლობისათვის;

ზ) ფინანსური დარღვევებისათვის;

თ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციის კლიენტებთან/კრედიტორებთან არაეთიკური მოპყრობისათვის.



2. ლიკვიდატორს არ დაეკისრება პირადი პასუხისმგებლობა რომელიმე პირის მიმართ რაიმე მოქმედებისათვის ან უმოქმედობისათვის, თუკი მან ეს ქმედება ჩაიდინა ან მისგან თავი შეიკავა თავისი მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებისას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ეროვნული ბანკი ვალდებულია სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებში დაიცვას ლიკვიდატორის ინტერესები, რაც შეიძლება გამოიხატოს ლიკვიდატორის იურიდიული მომსახურებით უზრუნველყოფაში, დავასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებასა და სხვა ღონისძიებებში, რომლებსაც ეროვნული ბანკი საჭიროდ მიიჩნევს ლიკვიდატორის ინტერესების დასაცავად, თუ აღნიშნული ლიკვიდატორის მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება განპირობებული იყო სამსახურებრივი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებით.

მუხლი 10. ლიკვიდატორის შერჩევისა და დანიშვნის კრიტერიუმები

1. ლიკვიდატორის კანდიდატურის შერჩევა ხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდატორს უნდა ჰქონდეს საბანკო-საფინანსო საქმიანობის წარმოებისათვის აუცილებელი სათანადო კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

3. პირს ეკრძალება იყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდატორი, თუ იგი ნასამართლევაა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის.

4. ლიკვიდატორს უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება ერთ-ერთი ისეთი სპეციალობით, როგორცაა ეკონომიკა, ფინანსები, საბანკო საქმე, ბიზნესის ადმინისტრირება, აუდიტი, ბუღალტერია.

5. ლიკვიდატორს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება, რისთვისაც მას უნდა ჰქონდეს საბანკო-საფინანსო სექტორში მუშაობის მინიმუმ 3 წლის სტაჟი.

6. ერთი და იგივე პირი შეიძლება დანიშნულ იქნეს ლიკვიდატორად ერთდროულად რამდენიმე საფინანსო ინსტიტუტში.

7. იმ შემთხვევაში, თუ ლიკვიდატორი არ წარმოადგენს ეროვნული ბანკის თანამშრომელს, მისი დანიშვნის დღიდან ეროვნულ ბანკსა და ლიკვიდატორს შორის ფორმდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულება.

8. შრომით ხელშეკრულებაში გასათვალისწინებელია ლიკვიდატორის ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს ეროვნული ბანკი.



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №65/04

2018 წლის 17 აპრილი, ქ. თბილისი

„კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივნისის №49/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივნისის №49/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge; 17/06/2014; ს/კ: 220010000.18.011.016133) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი შინაარსის ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის:**ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დ) გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზი – მსესხებელი/თანამსესხებელი პირის (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი ან ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი) შემოსავლების, ხარჯებისა და ჯამური ვალდებულებების დეტალური ანალიზი, ყველა იმ დამატებითი ფაქტორის გათვალისწინებით, რომელმაც შეიძლება ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს ვალდებულებების მომსახურებაზე.“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ¹“ და „დ²“ ქვეპუნქტები:

„დ¹) მსესხებელი/თანამსესხებელი ფიზიკური პირის შემთხვევაში, გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზი უნდა მოიცავდეს იმ პირთა წრის მაქსიმალურად ობიექტურად შეფასებას და გათვალისწინებას, ვისთან ერთადაც მსესხებელი/თანამსესხებელი იზიარებს შემოსავლებს ან/და ვალდებულებებს. იმისათვის, რომ მსესხებელი ფიზიკური პირის შემოსავალი ჩაითვალოს გაანალიზებულად და დადასტურებულად (გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზი), ბანკში წარდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი დოკუმენტაცია (სახელფასო ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, ცნობა შემოსავლების სამსახურიდან და სხვა მსგავსი სანდოობის მქონე დოკუმენტაცია);



დ²) მსესხებელი პირის სავაჭრო/სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შემთხვევაში, გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზისათვის საჭიროა ჩატარდეს პირის დეტალური ფინანსური ანალიზი.“;

გ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (LTV კოეფიციენტი) – უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხ(ებ)ის/კრედიტების და უძრავი ქონების სახით არსებული უზრუნველყოფის საშუალების საბაზრო ღირებულების თანაფარდობა, რომელიც კონკრეტულად უზრუნველყოფს აღნიშნულ სესხ(ებ)ს.“.

2. მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ბანკის მიერ გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე გაცემული ყველა სესხის საერთო თანხა (გარდა ძვირფასი ქვებითა და ლითონებით ან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების, უზრუნველყოფის ღირებულების ფარგლებში არსებული სესხის თანხისა) არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს.“;

ბ) პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები:

„ე) ბანკის მიერ მსესხებელი/თანამსესხებელი პირის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ყველა სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს. ამასთან, მსესხებელ პირზე, გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე, სესხის გაცემისას, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (Loan to Value Ratio) არ უნდა იყოს 50%-ზე მეტი (გარდა რესტრუქტურისაციის შემთხვევისა, როდესაც მსესხებელი პირისათვის არ ხდება სესხის თანხის დამატება. სესხი თანხის დამატებაში არ იგულისხმება დარიცხული პროცენტების, ჯარიმა/საურავების, თუ სხვა თანხების კაპიტალიზაცია);

ვ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების მიზნებისათვის რეკლავირებადი საკრედიტო პროდუქტები (მათ შორის, საკრედიტო ბარათი და ოვერდრაფტი) ყველა სესხის საერთო თანხაში გათვალისწინებული უნდა იყოს ჯამური (საერთო) ლიმიტის ფარგლებში.“;

გ) მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) უზრუნველყოფილია ამავე ბანკში განთავსებული დეპოზიტებით (უზრუნველყოფის ღირებულების ფარგლებში), როდესაც სესხის ვალუტა და დეპოზიტის ვალუტა არის ერთი და იგივე, სესხის ვადა არ აღემატება დეპოზიტის ვადას და დეპოზიტი უპირობოდ აღსრულებადია ბანკის სასარგებლოდ;“;

დ) მე-5 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 და მე-7 პუნქტები:



„6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ლიმიტში არ გაითვალისწინება ისეთი სესხები, როდესაც მსესხებლის მიერ ხდება ბინის/სახლის/მიწის ნაკვეთის შეძენა, ამასთან, მსესხებლის მიერ ბანკში წარმოდგენილია ფულადი ფორმის თანამონაწილეობა სესხის გაცემისას და დამატებით, ბანკის მიერ ხორციელდება სესხის მიზნობრიობის გადამოწმება/მონიტორინგი. ასეთი ტიპის სესხების გაცემისას, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შეფასება უნდა განხორციელდეს ადეკვატურად და უნდა გამოიყენებოდეს სესხის უზრუნველყოფის კორსერვატიული კოეფიციენტი (LTV).

7. ყოველი სესხის/კრედიტის გაცემისას მსესხებელი პირის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზისთვის გამოყენებული დოკუმენტაციის/ინფორმაციის ხანდაზმულობის ვადა არ უნდა იყოს 6 (ექვსი) თვეზე მეტი სესხის დამტკიცებიდან (დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან). მსესხებელი პირის ჯამური ვალდებულებების ანალიზის კუთხით წარმოდგენილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია უნდა იყოს ბოლო მდგომარეობით განახლებული.“.

მუხლი 2

1. იმ შემთხვევაში, თუ ამ ბრძანების ამოქმედების თარიღისთვის კომერციული ბანკი ვერ აკმაყოფილებს ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს, კომერციულ ბანკს ეკრძალება ახალი/დამატებითი სასესხო პორტფელის შექმნა (მათ შორის, ახალი სესხის გაცემა) მსესხებელი პირის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე. ამ პუნქტის მიზნებისათვის, შესაძლებელია არსებული სესხების რესტრუქტურირაცია/რეფინანსირება მსესხებლის ფინანსური სირთულეების არსებობის შემთხვევაში მხოლოდ იმ პირობის დაცვით, თუ არ ხორციელდება სესხის ნაშთის ზრდა. სესხის ნაშთის ზრდაში არ ჩაითვლება სესხზე დარიცხული პროცენტების ჯარიმა/საურავების კაპიტალიზაცია.

2. იმ შემთხვევაში, თუ ამ ბრძანების ამოქმედების თარიღისთვის კომერციული ბანკი ვერ აკმაყოფილებს ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს, კომერციული ბანკი ვალდებულია 2018 წლის 1 ივნისამდე საქართველოს ეროვნულ ბანკს წარმოუდგინოს ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებით დაწესებულ ლიმიტებთან ბანკის შესაბამისობაში მოყვანის გეგმა. გეგმა უნდა შეთანხმდეს ეროვნულ ბანკთან.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 7 მაისიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №70/04

2018 წლის 24 აპრილი, ქ. თბილისი

„კომერციული ბანკების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„კომერციული ბანკების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“.

2. ბრძანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** დამტკიცდეს კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების თანდართული წესი.“.

3. ბრძანებით დამტკიცებული წესის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესი“;

ბ) პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ წესის მიზანია დადგინდეს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) მიერ კომერციული ბანკების (შემდგომში – ბანკი) და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების საკითხები.“



2. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ბანკების ან/და მისი ადმინისტრატორების მიმართ გამოიყენოს ამ წესით დადგენილი ფულადი ჯარიმები, თუ ბანკმა ან მისმა რომელიმე ადმინისტრატორმა ან მაკონტროლებელმა პირმა:

ა) დაარღვია ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ეროვნული ბანკის ნორმატივი, ინსტრუქცია, დებულება, წესები, დადგენილებები, მოთხოვნები, წერილობითი მითითებები;

ბ) დაარღვია ნებისმიერი პირობა ან შეზღუდვა, რომელიც დართული აქვს საბანკო საქმიანობის ლიცენზიას ან ეროვნული ბანკის შესაბამის სამართლებრივ აქტს;

გ) დაარღვია ანგარიშგების წარდგენის ვადები ან წარადგინა არასწორი ანგარიშგება და სხვა არაზუსტი ინფორმაცია;

დ) დაარღვია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამავე კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დადგენილი მოთხოვნები.“;

გ) მე-2 მუხლის:

გ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის ან ეროვნული ბანკის შესაბამის სამართლებრივ აქტზე თანდართული ნებისმიერი პირობის ან შეზღუდვის დარღვევის შემთხვევაში ბანკი ჯარიმდება დარღვევის გამოვლენის მომენტისათვის ბოლო ანგარიშგების მდგომარეობით არსებული საზედამხედველო კაპიტალის 0.01%-ის, 0.05%-ის ან 0.1%-ის, მაგრამ არანაკლებ 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის სერიოზულობის ან/და კომერციული ბანკის აქტივებისათვის მიყენებული ზარალის ან/და შესაძლო საფრთხიდან გამომდინარე.“;

გ.ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ.გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის, ეროვნული ბანკის ინსტრუქცია, დებულება, წესი, დადგენილება) ან/და ეროვნული ბანკის მოთხოვნებითა და წერილობითი მითითებით აკრძალული ოპერაციების წარმოებისას ან/და დაწესებული შეზღუდვების, ლიმიტების, მოთხოვნების და აკრძალვების შეუსრულებლობისას ბანკი ჯარიმდება თითოეული ასეთი ოპერაციის ან/და ქმედების წარმოების/განხორციელების გამოვლენის მომენტისათვის ბოლო ანგარიშგების მდგომარეობით არსებული საზედამხედველო კაპიტალის 0.01%-ის, 0.05%-ის ან 0.1%-ის, მაგრამ არანაკლებ 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით დარღვევის სერიოზულობის ან/და კომერციული ბანკის აქტივებისათვის მიყენებული ზარალის ან/და შესაძლო საფრთხიდან გამომდინარე.“;

გ.დ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ.ე) მე-5–მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„5. ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის თაობაზე ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის ბანკი ჯარიმდება შემდეგი ოდენობით:

ა) პილარ 3-ის ფარგლებში კვარტალური, წლიური ანგარიშგებების დადგენილი ფორმითა და/ან დადგენილ ვადებში გამოუქვეყნებლობის თითოეულ შემთხვევაში – **5 000** (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) პილარ 3-ის ფარგლებში კვარტალური, წლიური ანგარიშგებების გამოქვეყნების შესახებ ინფორმაციისა და გამოქვეყნებული კვარტალური ან წლიური ანგარიშგებების ელექტრონული ვერსიის დადგენილ ვადაში ეროვნული ბანკისათვის წარუდგენლობის შემთხვევაში დარღვევის თითოეულ ფაქტზე – **5 000** (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

6. ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით, დებულებებით, წესებით, დადგენილებებით, მოთხოვნებითა და წერილობითი მითითებებით დადგენილი შემდეგი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის ბანკი ჯარიმდება შემდეგი ოდენობით:

ა) ანგარიშგების, სხვა ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის დადგენილი ან შემუშავებული ფორმითა და დადგენილ ვადებში ეროვნული ბანკისათვის წარუდგენლობის შემთხვევაში დარღვევის თითოეულ ფაქტზე – **5 000** (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) წლიური ზოგადი ფინანსური ანგარიშგების, აუდიტორის დასკვნისა და სარეკომენდაციო წერილის დადგენილი ფორმითა (მათ შორის, არაზუსტი ინფორმაციის წარდგენა) და/ან დადგენილ ვადებში საქართველოს ეროვნულ ბანკში წარუდგენლობის შემთხვევაში დარღვევის თითოეულ ფაქტზე – **5 000** (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

გ) აუდიტორთან ზოგადი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ასლის, აუდიტორის მიერ ასეთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაციის ან ასეთ ხელშეკრულებაში შესული ნებისმიერი ცვლილების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში დადგენილ ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში – დარღვევის თითოეულ ფაქტზე **5 000** (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

დ) ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წესების დარღვევის შემთხვევაში – თითოეულ ფაქტზე **5 000** (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

ე) ბანკის მიერ ნაკისრი ვალდებულებების (ბალანსურ ან გარებალანსურ უწყისებში) აღურიცხველობის შემთხვევაში – აღურიცხველობის თითოეულ ფაქტზე **5 000** (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

ვ) ეროვნულ ბანკში წარდგენილი დადგენილი ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების არასწორად გაანგარიშების შემთხვევაში – დარღვევის თითოეულ ფაქტზე **5 000** (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;



ზ) კრებსითი საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დარღვევის შემთხვევაში – დადგენილ ლიმიტს გადაჭარბებული თანხის **0,1 პროცენტის** ოდენობით დარღვევის თითოეულ დღეზე;

თ) ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული კომერციული ბანკების ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დეზულეებით გათვალისწინებული ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის გამოთვლის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში – **5 000** (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

7. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით და ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით, დეზულეებით, წესებით, დადგენილებებით, მოთხოვნებით დადგენილი და წერილობითი მითითებებით მოთხოვნილი შემდეგი დოკუმენტაციის წარუდგენლობისათვის ბანკი ჯარიმდება შემდეგი ოდენობით:

ა) ბანკის აქციონერთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა და მასთან არსებული კომიტეტების კრების ოქმების ან/და ოქმებთან დაკავშირებული დოკუმენტების დადგენილ ვადებში წარუდგენლობის თითოეულ შემთხვევაში – **5 000** (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) ბანკის სამეწარმეო რეესტრის, წესდების, ბანკის ფილიალების, წარმომადგენლობისა და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების შექმნის წესით გათვალისწინებული დოკუმენტების/ინფორმაციის დადგენილ ვადებში წარუდგენლობის თითოეულ შემთხვევაში – **5 000** (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

გ) ბანკის აქციონერებთან დაკავშირებული საფინანსო და იურიდიული დოკუმენტების დადგენილ ვადებში წარუდგენლობის თითოეულ შემთხვევაში – **5 000** (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

დ) ბანკის ადმინისტრატორებთან დაკავშირებული დოკუმენტების დადგენილ ვადებში წარუდგენლობის თითოეულ შემთხვევაში – **10 000** (ათი ათასი) ლარის ოდენობით;

ე) ბანკთან და საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი სახის დოკუმენტაციისა და ინფორმაციის დადგენილ ვადებში ეროვნულ ბანკში წარუდგენლობის თითოეულ შემთხვევაში – **5 000** (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;”

ვ) წერილობით მოთხოვნილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის ან არასრულყოფილად წარდგენის თითოეულ შემთხვევაში – **5 000** ლარის ოდენობით;

ზ) კომერციული ბანკის მხრიდან ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ეკონომიკურ ნორმატივებთან, ლიმიტებთან, შეზღუდვებთან ან სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის იმგვარი დამუშავება/წარმოდგენა ან/და ტრანზაქციის ისეთი ფორმით განხორციელება, რაც იმავე რისკ(ებ)ის შენარჩუნების პირობებში იწვევს კანონმდებლობის, მათ შორის, ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული მოთხოვნებისა და შეზღუდვების თავიდან არიდებას ან არამართლზომიერ შემსუბუქებას (საზედამხედველო არბიტრაჟი) თითოეულ შემთხვევაში იწვევს დაჯარიმებას – **10 000** (ათი ათასი) ლარის ოდენობით, იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული ბანკი შესაბამისი მოკვლევის/მტკიცებულების საფუძველზე დაადგენს ასეთის არსებობას.“;



გ.ვ) 8¹ – მე-10 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8¹. ეროვნული ბანკის მოთხოვნ(ებ)ისა და/ან წერილობითი მითითებ(ებ)ის განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში კომერციული ბანკი დაჯარიმდება **20 000** (ოცი ათასი) ლარის ოდენობით.

8². ეროვნული ბანკის მოთხოვნ(ებ)ისა და/ან წერილობითი მითითებ(ებ)ის მრავალჯერადი შეუსრულებლობის შემთხვევაში კომერციული ბანკი დაჯარიმდება **50 000** (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

8³. კომერციული ბანკის ადმინისტრატორის მიერ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე, თუ ადმინისტრატორი ვერ უზრუნველყოფს საკუთარი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რაც იწვევს ბანკის მიერ კანონმდებლობის დარღვევას, ადმინისტრატორი დაჯარიმდება **10 000** (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

9. დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის ბანკის ან/და მისი ადმინისტრატორის მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრების შემდეგ, ამავე მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბანკის ან/და მისი ადმინისტრატორის მიმართ გამოიყენოს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა სანქციები.

10. ამ მუხლში აღნიშნული დარღვევების გამოვლენისას დარღვევის და აქტივების არსებული თუ შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ბანკის ან/და მისი ადმინისტრატორის მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრების ნაცვლად გამოიყენოს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა სანქციები.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის

პრეზიდენტის მოვალეობის

შემსრულებელი

მურთაზ კიკორია





i n s t r u c c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №152

2018 წლის 16 აპრილი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის
2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის
შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010
წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011,
2000900000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-17 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) მესამე პირზე გადახდევინების მიქცევის შესახებ –№I-10¹ დანართის შესაბამისად.“.

2. დანართი №I-10-ის შემდეგ დაემატოს თანდართული რედაქციის დანართი №I-10¹.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ზახტაძე



დანართი №I-10¹**შემოსავლების სამსახური**

ქ. თბილისი, 0114 ვ. გორგასლის ქ. №16

ს ა გ ა დ ა ს ა ხ ა დ ო მ ო თ ხ ო ვ ნ ა N**მესამე პირზე გადახდების****მიქცევის შესახებ**

„--“ „-----“ 20-- წ.

(რიცხვი) (თვე) (წელი)

მესამე პირის რეკვიზიტები: _____
(გვარი, სახელი/დასახელება, მისამართი)

საიდენტიფიკაციო ნომერი

გადასახადის გამომდელის რეკვიზიტები: _____
(გვარი, სახელი/დასახელება, მისამართი)

საიდენტიფიკაციო ნომერი

საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის საფუძველი: **საქართველოს საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლი**

(მიეთითება საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის საფუძველზეც მოხდა ამ მოთხოვნის წარდგენა)

თქვენ 20-- წლის -- -----ის მდგომარეობით გერიცხებათ დავალიანება -----
ლარის ოდენობით ----- მიმართ, რომელსაც გააჩნია საგადასახადო დავალიანება -----
ლარის ოდენობით

(საგადასახადო მოთხოვნის შინაარსი (მათ შორის: მესამე პირის დავალიანების ოდენობა გადასახადის გამომდელის მიმართ, მესამე პირისაგან მოთხოვნილი თანხის ოდენობა).

ამ საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში ვალდებული ხართ სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოთ ----- ლარი.

მესამე პირის მიერ საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ამ პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები.

თქვენი უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 41-ე და 43-ე მუხლებით.

„საგადასახადო მოთხოვნა“ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, „საგადასახადო მოთხოვნის“ ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის წარდგენის გზით. აგრეთვე, სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საგადასახადო ორგანოს უფროსი/მოადგილე



auqci oni

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

25.04.2018

2018 წლის 25 აპრილს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 30 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო სამმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 51 190 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.670 პროცენტით, მაქსიმალური 7.900 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 7.720 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 8.125 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

კომერციული ბანკების აქტივების მდგომარეობა

25.04.2018

2018 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 16 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის 15 – საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. მარტში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 710.8 მილიონი ლარით, ანუ 2.1 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე ზრდამ 3.6 პროცენტი შეადგინა) და 2018 წლის პირველი აპრილისათვის 34.3 მლრდ ლარი შეადგინა.

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 4.6 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 13.4 პროცენტია.



დეპოზიტების მიმდინარე ტენდენციების შესახებ

25.04.2018

საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ **2018** წლის პირველი აპრილისათვის **19.6** მლრდ ლარს გადააჭარბა, რაც **459.1** მლნ ლარით, ანუ **2.4** პროცენტით მეტია პირველი მარტისათვის არსებულ მაჩვენებელზე (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე **4.1** პროცენტით მეტი). მარტში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა ვადიანი დეპოზიტების ზრდას **461.3** მლნ ლარით, ანუ **4.0** პროცენტით (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე გაიზარდა **5.9** პროცენტით), ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები შემცირდა **2.2** მლნ ლარით, ანუ **0.03** პროცენტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე გაიზარდა **1.5** პროცენტით).

დეპოზიტების ლარიზაციის კოეფიციენტმა მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის **37.21** პროცენტი შეადგინა. პირველი მარტის მდგომარეობასთან შედარებით, დეპოზიტების ლარიზაცია გაიზარდა **0.93** პროცენტული პუნქტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით **0.33** პროცენტული პუნქტით).

ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა **5.2** პროცენტი შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე – **7.9** პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე – **2.5** პროცენტი.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა **84.4** პროცენტი, ხოლო ევროს წილმა **13.5** პროცენტი შეადგინა.

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების შესახებ

25.04.2018

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), **2018** წლის მარტში წინა თვესთან შედარებით **286.6** მლნ ლარით (**1.3** პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე **2.8** პროცენტით გაიზარდა) და მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის **22.2** მლრდ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა **247.5** მლნ ლარით (**2.6** პროცენტით) გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა **39.1** მლნ ლარით (**0.3** პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე **3.0** პროცენტით გაიზარდა).

რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის **2018** წლის მარტის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ **2.6** მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით **1.2** პროცენტით მეტი), ხოლო უცხოური ვალუტით **7.0** მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით **1.9** პროცენტით მეტი) მოცულობის სესხი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე - **4.6** პროცენტით მეტი).

2018 წლის მარტის განმავლობაში **1.1** პროცენტით ანუ **134.3** მლნ ლარით გაიზარდა რეზიდენტი ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის **11.8** მლრდ ლარს გადააჭარბა.

მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტმა **44.75** პროცენტი შეადგინა. პირველი მარტის მდგომარეობასთან შედარებით მთლიანი სესხების ლარიზაცია გაიზარდა **0.54** პროცენტული პუნქტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით შემცირდა **0.10** პროცენტული პუნქტით).



გაგრიიწეკეთ
გადასსასადები

მენაგეების, სამაღსასალო
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მათგანგანის
უნივერსადური სამაგმილო ჟურნალი

ჩვენი რაკვიზიტებია:

მიმღები: შპს „ბიზნეს ინტელექტი“
მიმღების IBAN ანგარიშის
№ GE67TB332136020100005

მიმღების ბანკი: ს.ს „თიბისი“ ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

ღიზინი ჰონიბიხაფი

- » ეტიკეტი
- » ბუკლეტი
- » კლაკეტი
- » შესაფუთი პაკეტი
- » ნიბეტი